ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3573998

ნომერი: AR1541583

თარიღი : 18.09.2017

გაცემის თარიღი : 02.10.2017

გაცნობის თარიღი : 04.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 22 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 , (ნაკვ. 20/52) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- იური გეფერიძე პ/ნ 01024030540
- თბილისი ლ.გოთუას ქ. კორ. 1 ბ. 5

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1541583 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ #3499411 ბრძანების ბათილად ცნობას, ასევე გსურთ #01.10.10.020.174 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მომართვის შემთხვევაში წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვა.

პასუხად გაცნობებთ 2017 წლის 29 აგვისტოს #3499411 ბრძანებით ქ. თბილისში, ქუჩა გოძიაშვილი , #22 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , #24 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , #24 , (ნაკვ. 20/52), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.10.10.020.174), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისიგამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.10.10.020.174 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
